

# ISET

International School of Economics at TSU  
Policy Institute

2023  
იანვარი



ელექტროენერჯიის  
ბაზრის მიმოხილვა



## ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

### აკტორები:

მარიამ ნულუკიძე  
უფროსის მოადგილე

✉ m.tsulukidze@iset.ge

გურამ ლობჯანიძე  
მკვლევარი

✉ guram.lobzhanidze@iset.ge

ერეკლე შუბითიძე  
მკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

## მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2023 წლის იანვარში ელექტროენერჯის გამომუშავება წლიურად 8%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 0.5%-ით შემცირდა.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 7%-ით შემცირდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 2%-ით გაიზარდა.
- მოხმარებამ გამომუშავებას 172 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2023 წლის იანვრისთვის სრული წარმოების 16% და მოხმარების 13%-ია.
- იანვარში განხორციელდა 247 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი.
- იანვარში ექსპორტი არ განხორციელებულა.
- 2023 წლის იანვარში საქართველოს მთავარი საიმპორტო პარტნიორი რუსეთი იყო. რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერჯის 99% აფხაზეში წავიდა.
- იმპორტის ფასი 0.11 ცენტი, ან 0.3 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- 2023 წლის იანვარში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ შენარჩუნდა და ინდექსის მნიშვნელობა 2,491-ს გაუტოლდა.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2023 წლის იანვარში ინდექსის მნიშვნელობამ 2,183 შეადგინა.

## შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰესი	ჰიდროელექტროსადგური
თესი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მიწოდებისთვის
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ესკო	ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი


## წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2023 წლის იანვარში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,111 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 8%-იან ზრდას წარმოადგენს (2022 წლის იანვარში სრული წარმოება 1,025 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების წლიური ზრდა თბოელექტროსადგურების (+43%) და ქარის ელექტროსადგურების (+22%) გამომუშავების ზრდამ განაპირობა, მაშინ როცა ჰიდროელექტროსადგურების (-27%) გამომუშავება შემცირდა.

თვიურ ჭრილში, წარმოება, დაახლოებით, 0.5%-ით შემცირდა (2022 წლის დეკემბერში სრული წარმოება 1,116 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე კლება ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავების კლებამ გამოიწვია (-10%). ამავე დროს, ქარის ელექტროსადგურების გამომუშავება 7%-ით, ხოლო თბოელექტროსადგურების გამომუშავება 5%-ით გაიზარდა.


ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1,283 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (7%-ით ნაკლები 2022 წლის იანვართან შედარებით და 2%-ით მეტი 2022 წლის დეკემბერთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2023 წლის იანვარში ენერჯის მოხმარებამ წარმოებას 172 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 16%-ს და სრული მოხმარების 13%-ს შეადგენდა (2022 წლის იანვარში წარმოებასა და მოხმარებას შორის დეფიციტმა 349 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში სრული წარმოების დაახლოებით 34%-ს და სრული მოხმარების 25%-ს გაუტოლდა).

**დიაგრამა 1** - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება




წარმოების უდიდესი წილი თბოელექტროსადგურებზე (თესი) მოდის. 2023 წლის იანვარში თესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 728 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 65.6%), ჰიდროელექტროსადგურების (ჰესი) წარმოება 374 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 33.7%), ხოლო ქარის ენერჯის წარმოება 8 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 0.7%) (დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2** - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით




ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 47% გამომუშავა (176 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, 42% (158 მილიონი კილოვატსაათი) და 11% (40 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).

**დიაგრამა 3** - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით



თბოელექტროსადგურებს რაც შეეხება, გარდაბანი 1-მა გამოიმუშავა 169 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია (თბოელექტროსადგურების გამომუშავების 23% და ჯამური გამომუშავების 15%), გარდაბანი 2-მა გამოიმუშავა 170 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 23% და ჯამური გამომუშავების 15%), მტკვრის თბოელექტროსადგურმა 182 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (თბოელექტროსადგურების 25% და ჯამური გამომუშავების 16%), ხოლო თბილსრესმა 179 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (თბოელექტროსადგურების 25% და ჯამური გამომუშავების 16%). თბოელექტროსადგურების გამომუშავების დარჩენილი 4% გამოიმუშავა აირტურბინამ (ჯამური გამომუშავების 3%) (დიაგრამა 4).


**დიაგრამა 4** - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ესკო

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 14 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 8% და სრული წარმოების 1%). ენგურჰესმა 64 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯის 36%-ს და სრული წარმოების 6%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).


**დიაგრამა 5** - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2022 წლის იანვართან შედარებით 8%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).

**დიაგრამა 6** - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)



წყარო: ესკო


ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია<sup>1</sup> (31% – 393 მილიონი კილოვატსაათი), აფხაზეთი (25% – 320 მილიონი კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო2 (24% – 304 მილიონი კილოვატსაათი) და პირდაპირი მოხმარებლები (21% – 264 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). მოთხოვნა თელასი/თელმიკოსგან 8%-ით გაიზარდა, ხოლო აფხაზეთისგან, ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯიასგან და პირდაპირი მოხმარებლებისგან, შესაბამისად, 11%-ით, 2% და 20%-ით შემცირდა 2022 წლის იანვართან შედარებით. საერთო ჯამში, 2023 წლის იანვარში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 7%-ით ნაკლები შეადგინა 2022 წლის იანვრის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

<sup>1</sup> ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.

<sup>2</sup> 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები


გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები - განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიმწოდებლები - საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიმწოდებლები - საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი ანაწილებენ ელექტროენერჯიას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყვნენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიმწოდებელი.

**დიაგრამა 7** - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

**დიაგრამა 8** - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

2023 წლის იანვარში საქართველომ 247 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განახორციელა (მაშინ, როცა 2022 წლის იანვარში 406 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 9). იმპორტის თითქმის 100% რუსეთიდან შემოვიდა (რომლის 99% აფხაზეთში გავიდა), ხოლო დარჩენილი ნაწილი - აზერბაიჯანიდან (2022 წლის იანვარში იმპორტის 72% შემოვიდა რუსეთიდან, 12% - აზერბაიჯანიდან და 16% - სომხეთიდან). 2023 წლის იანვარში საქართველოდან ექსპორტი არ გასულა (2022 წლის იანვარში 2.6 მილიონი კილოვატსაათი ექსპორტი განხორციელდა თურქეთში და 0.001 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი - აზერბაიჯანში) (დიაგრამა 10). 2023 წლის იანვარში განხორციელდა 492 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში და 29 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი სომხეთიდან თურქეთში (2022 წლის იანვარში განხორციელდა 186 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში).




2023 წლის იანვარში იმპორტი 39%-ით შემცირდა 2022 წლის იანვართან შედარებით, ხოლო ექსპორტი საერთოდ არ განხორციელდა.

**დიაგრამა 9** - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო

**დიაგრამა 10** - ექსპორტი წლების მიხედვით




წყარო: ესკო




2023 წლის იანვარში იმპორტი 14%-ით გაიზარდა 2022 წლის დეკემბერთან შედარებით (დიაგრამა 11). 2023 წლის იანვარში ექსპორტი შემცირდა 100%-ით (დიაგრამა 12).

**დიაგრამა 11** - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ესკო

**დიაგრამა 12** - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ესკო

## 1. საბაზრო ოპერაციები

2023 წლის იანვარში, ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 82% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 18% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


**დიაგრამა 13** - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ესკო

2023 წლის იანვარში, საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 14.5 თეთრი კილოვატსაათზე, რაც წლიური კლების 21%-ს შეესაბამება 2022 წლის იანვართან შედარებით. რაც შეეხება საშუალო შეწონილ ფასს, დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის, ის 12.6 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2022 წლის იანვრის მონაცემზე 171%-ით მეტია (დიაგრამა 14).


**დიაგრამა 14** - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



წყარო: ესკო

2023 წლის იანვარში, გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით 16 მილიონი ლარი იყო, რაც 2021 წლის იანვრის მონაცემზე 11%-ით ნაკლებია. 2022 წლის იანვრის მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი (დიაგრამა 15).


**დიაგრამა 15** - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



წყარო: ესკო

2023 წლის იანვარში ელექტროენერჯის იმპორტის ფასი 0.11 ცენტი, ან 0.3 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში და ლარში ფასის 96%-იან ზრდას (2022 წლის იანვარში ფასები 2.78 ცენტი, ან 8.55 თეთრი იყო კილოვატსაათზე). 2022 წლის დეკემბერთან მიმართებით იმპორტის ფასი 6%-ით შემცირდა როგორც დოლარში ასევე ლარში. 2023 წლის იანვარში ექსპორტი არ განხორციელებულა, ამიტომ ფასების დინამიკის შეფასება შეუძლებელია.

**დიაგრამა 16** - იმპორტისა და ექსპორტის ფასები




■ იმპორტის შეწონილი ფასი ■ ექსპორტის შეწონილი ფასი

წყარო: ესკო

2023 წლის იანვარში ელექტროენერჯის იმპორტის ფასი რუსეთიდან 0.11 ცენტს, ან 0.29 თეთრს, ხოლო აზერბაიჯანიდან 1.74 ცენტს, ან 4.66 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე (დიაგრამა 17).


**დიაგრამა 17** - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო/საქსტატი

2023 წლის იანვარში ექსპორტი არ ყოფილა, ამიტომ ფასის შეფასებაც შეუძლებელია (დიაგრამა 18).

**დიაგრამა 18** - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით




წყარო: ესკო/საქსტატი


## 2. ბაზრის კონცენტრაცია

დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2023 წლის იანვარში, საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებულ ზღვარს დაბლა შენარჩუნდა და HHI ინდექსი 2,491 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2022 წლის იანვრის მონაცემსა (HHI 1,516 ერთეული) და 2022 წლის დეკემბრის მაჩვენებელზე (HHI 2,462 ერთეული) მაღალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2023 წლის იანვარში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 2,183 ერთეულს გაუტოლდა (2022 წლის იანვრის მაჩვენებელზე (2,017) მაღალი და 2022 წლის დეკემბრის მაჩვენებელზე (2,188) დაბალი). რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება. მას შემდეგ კი, მოხმარების საბაზრო კონცენტრაციის მხრივ, წლიურად დადებითი ტენდენცია აღინიშნება (დიაგრამა 20).

**დიაგრამა 19** - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



**დიაგრამა 20** - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო